



საქართველო

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 41 338

13/03/2020

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით პრევენციული ზომების მიღების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის განკარგულებისა და „ბაღდათის მუნიციპალიტეტში კორონა ვირუსის ეპიდემიასთან დაკავშირებით პრევენციული ღონისძიების გატარებისთვის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 02 მარტს N 41 277 ბრძანებით განსაზღვრული ჯგუფის გადაწყვეტილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, საჯარო დაწესებულების ფუნქციონირების ინტერესების გათვალისწინებით, საქმიანობის იმ ნაწილში, რომელიც დაწესებულების სრულფასოვან ფუნქციონირებას არ აფერხებს, მუნიციპალიტეტის მერია გადავიდეს 2020 წლის 14 მარტიდან დინსტანციური მუშაობის რეჟიმზე;
2. მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირთა უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად, საოფისე სივრცეში არასაჭირო კონტაქტებისგან შეზღუდვის მიზნით, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთან შეთანხმებით თანამშრომელთა ნაწილს მიეცეს დინსტანციურ რეჟიმში მუშაობის უფლება და შემუშავდეს თანამშრომელთა სამუშაო სივრცეში მუშაობის განრიგი. ამასთან, სამსახურებრივი მოვალეობიდან დროებით გათავისუფლებული არიან ორსულები, ქრონიკული დაავადების მქონე თანამშრომლები და სხვა რისკის ჯგუფში შემავალი 50 წელს გადაცილებული პირები;
3. სტრუქტურული ერთეულის სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე საქმიანობის ძირითადი მიმართულებების გათვალისწინებით, შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებმა შეიმუშაონ მათდამი დაქვემდებარებულ თანამშრომელთა დინსტანციურ რეჟიმში ან/და სამუშაო სივრცეში მუშაობის განრიგი;
4. დაევალოთ ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებს უზრუნველყონ მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების შეუფერხებელი მუშაობა, საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის eDocument-ის და სხვა ელექტრონული პროგრამების მეშვეობით. პასუხისმგებლობით და კოორდინირებულად წარმართონ ორგანიზაციული პროცესი სახელმწიფო ინტერესების დასაცავად და არსებული გამოწვევების წარმატებით დასაძლევად;

5. საჭიროების შემთხვევაში, დინსტანციური შრომის რეჟიმში მყოფი თანამშრომელი ვალდებულია გამოცხდდეს ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიაში მოთხოვნიდან 1 საათში;
6. ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების რისკების შემცირების მიზნით, გადაიდოს ყველა შეხვედრა, მივლინება თუ სხვა სახის ღონისძიებები, გარდა გადაუდებელი შემთხვევებისა;
6. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებმა მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით გაითვალისწინონ საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციები ახალი კორონავირუსული (COVID-19) ინფექციის თავიდან ასაცილებლად;
7. მიეცეთ რეკომენდაცია ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეებს შეზღუდონ უშუალო კონტაქტი მოქალაქეებთან, განსაკუთრებულ შემთხვევაში შეხვედრები გაიმართოს მერიის სამოქალაქო მისაღებში ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო პირობების დაცვით;
8. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებაში მყოფ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს ეცნობოს დისტანციური მუშაობის რეჟიმზე გადასვლის შესახებ და იმოქმედონ შესაბამისად, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში;
9. ბრძანებ ძალაშია ხელმოწერისთანავე და ვრცელდება 2020 წლის 29 მარტის ჩათვლით;
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მისამართზე: ქ. ქუთაისი კუპრადის ქ. N 11, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

არჩილ გოგსაძე



მუნიციპალიტეტის მერი